

ინგლისური სიტყვა "dark" და მისი ქართული კორელატების შეპირისპირებითი ანალიზი

Comparative Analysis of the English word "dark" and Its Georgian Correlates

ლაშა ჩაჩუა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Lasha Chachua

Tbilisi State University

Abstract

This article is dedicated to an analysis of the origin and meaning of the English word "dark". It explores the translations of this word in other languages from the same meaning. It elaborates on the evolution of the term's significance from its primary to its secondary and idiomatic meanings. Additionally, the work discusses the various conversational styles in which the word "dark" is employed.

საკვანძო სიტყვები: მნიშვნელობა, განვითარება, ენები, ინგლისური.

Keywords: Meaning, Evolution, Languages, English

შესავალი

ინგლისურმა სიტყვამ **Dark** თანამედროვე ფორმასა და ფონეტიკურ მახასიათებლებამდე ჩამოსაყალიბებლად, განვითარების არაერთი ეტაპი განვლო, მისი წარმოშობიდან მთელი არსებობის განმავლობაში, ენის გარდაქმნასთან ერთად, იცვლებოდა აღნიშნული სიტყვის მორფოლოგია და ფონეტიკა. დროთა განმავლობაში ასევე გაიზარდა მისი გამოყენების არეალი და, ძირითადის გარდა, სიტყვამ შეიძინა მრავალი სხვა მნიშვნელობა, რომლებიც სპეციფიკურია კონკრეტული სფეროებისთვის. **Dark** და მისი ქართული კორელატები აქტიურად გამოიყენება როგორც კლასიკურ, ისე თანამედროვე ლიტერატურაში. საკვლევ სიტყვას ასევე გააჩნია ვრცელი იდიომატური გამოყენება, სადაც მას სხვადასხვა პირდაპირი თუ გადატანითი მნიშვნელობით ვხვდებით.

სტატიაში მოცემული კვლევა შეეხება სიტყვის **Dark** განვითარების ეტაპებს, მისი ფორმისა და უღერადობის ევოლუციას, სალიტერატურო გამოყენებასა და სემანტიკის გენერალიზაციას.

მეთოდოლოგია

რადგანაც ჩატარებული კვლევა მოიცავს სიტყვის dark წარმოშობისა და მისი სემანტიკური პოტენციალის კვლევას ინგლისურ და ქართულ ენებში, მასალის შეკრების დროს დავეყრდენი ლექსიკონებს. უფრო კონკრეტულად, მასალაა რთულ ენებში, მასალის შეკრების დროს დავეყრდენი ლექსიკონებს. უფრო კონკრეტულად, Merriam-Webster ონლაინ ლექსიკონს, დიდ ინგლისურ-ქართულ ლექსიკონს, Oxford English Dictionary, ქართული ენის იდიომებისა და ანდაზების ფონდების მონაცემთა ბაზას.

სიტყვის Dark ეტიმოლოგია და განვითარება

ინგლისური სიტყვა “dark” წარმოიშვა ძველ ინგლისურში და დროის განმავლობაში განიცადა გარკვეული ცვლილებები ფორმასა და მნიშვნელობაში. ამ სიტყვის ძველი ინგლისური ვარიანტი არის სიტყვა “deorc,” რაც ნიშნავდა ბნელს, გაურკვეველსა და პირქუშს. საინტერესოა, რომ იგი განვითარდა პროტო-გერმანიკული სიტყვიდან “derkaz” და დაკავშირებულია სხვა გერმანიკულ ენებთან, როგორცაა ძველი ზემო გერმანული და ძველი სკანდინავიური.

ძველ ინგლისურში, ანუ 450-1066 წლებში, სიტყვა “dark” გამოითქმოდა როგორც “deorc” და მას არაერთი მნიშვნელობა გააჩნდა. გარდა სინათლის არქონისა, იგი ასევე აღწერდა ობიექტებს, რომლებიც იყო გაურკვეველი, დამალული ან რთულად გასაგები. ამას გარდა, “deorc” გამოიყენებოდა მეტაფორულად, მწუხარების, ბოროტებისა და საფრთხის გამოსახატად.

Hi me on digle deorce stowe settan sarlice.

(Oxford English Dictionary, *Paris Psalter* (1932) cxlii. 4))

ძველ ინგლისურ ლიტერატურაში სიტყვა “deorc” ხშირად გამოიყენებოდა, როგორც ფიზიკური, ასევე მეტაფორული სიბნელის აღსაწერად, მორალური ან სასულიერო გაგებით.

მაგალითად პოემა ბეოვულფში სიტყვა “deorc” გამოიყენება ბნელი და პირქუში ციხესიმაგრის, ჰეოროთის დერეფნების აღსაწერად.

- *Nihthelm geswearc deorc ofer dryhtgumum.*

Beowulf (2008) 1790

“Night-helm darkened over the warriors”

Perseus Digital Library

საშუალო ინგლისურ პერიოდში განვითარებული ფონეტიკური ცვლილებების გამო, სიტყვა “dark” ჩნდებოდა მრავალი სხვადასხვა ფორმით. ამ ფორმებიდან ყველაზე გავრცელებული იყო “derk”, “darke” და “darck”. ამასთან ერთად, ასევე ცვლილება

განიცადა ხმოვნების წარმოთქმამაც და სიტყვაში “derk” ბგერა “e” ხშირად წარმოითქმებოდა როგორც მოკლე “i” ბგერა.

- *Of whiche men þe corage alwey..seekeþ þe souereyne goode of alle be it so þat it be wiþ a derke memorie.*

G. Chaucer, translation of Boethius, De Consolatione

Philosophiae (British Library Add. MS. 10340) (1868) iii. pr. ii. l. 1818

“Of which men the courage always seeks the sovereign good of

all”

აღრეულ ახალ ინგლისურში, რომელიც გვიანი მეთხუთმეტე საუკუნიდან შუა მეჩვიდმეტე საუკუნემდე გაგრძელდა, ბევრ სიტყვაში საბოლოო ბგერა “e”-ს უღერადობა შემცირდა, ან საერთოდ აღარ გამოითქმოდა, რის შედეგადაც შეიცვალა სიტყვის ფორმაც და მივიღეთ თანამედროვე “dark”. ამ დროისთვის სიტყვაში ბგერა “r”-ს წარმოთქმა შენარჩუნებული იყო ისევე როგორც საშუალო ინგლისურ მეტყველებაში.

თანამედროვე ინგლისურში “r” ბგერის წარმოთქმა ენის სხვადასხვა ვარიაციაში სხვადასხვაგვარად ხდება. ზოგ მათგანში ეს ბგერა ნაკლებად უღერადია ან საერთოდაც გაქრა, რამაც გამოიწვია სიტყვის “dark” წარმოთქმა, გამოკვეთილი “r” ბგერის გარეშე.

ინგლისური ენის სხვადასხვა განმარტებითი ლექსიკონის შესწავლამ გამოავლინა საკვლევი სიტყვის შემდეგი მნიშვნელობები:

1. **ბნელი:** a ~ night / forest / cloud ბნელი ღამე // დაბურული ტყე // შავი ღრუბელი; it is ~ ბნელა; it is getting ~ ბნელდება, ბინდდება; ~ thoughts შავბნელი ფიქრები;
2. **მუქი:** a ~ dress მუქი ფერის კაბა; a ~ girl შავგვრემანი გოგონა; ~ blue მუქი ლურჯი;
3. **დაღვრემილი, პირქუში:** a ~ mood / day ცუდი გუნება // პიქუში დღე;
4. **შავი:** his dark eyes gave him a rugged look.
5. **შავგვრემანი:** – dark-skinned.

სიტყვის dark იდიომატური და სალიტერატურო გამოყენება

სიტყვა dark ფართოდ გამოიყენება თანამედროვე ინგლისურ იდიომებში მრავალი სხვადასხვა იდეის გამოსახატად. მაგალითად:

1. To keep someone in the dark – ეს იდიომა გულისხმობს პიროვნებისგან ინფორმაციის განზრახ დამალვას მაგალითად “They decided to keep me in the dark about their plans until the last minute”. ამ იდიომის ქართული შესატყვისი საქმის კურსში/ყურში არყოფნა იქნება.

2. Dark horse - ეს იდიომი აღნიშნავს პიროვნებას ან რაიმე საგანს, რასაც ფარული ნიჭი ან უნარები გააჩნია, რომლებიც, შეიძლება ერთი შეხედვით შეუმჩნეველი იყოს. იგი მიემართება ისეთ ადამიანს, რომელიც მოულოდნელად მიაღწევს გარკვეულ წარმატებას ან მოიპოვებს გამარჯვებას, მაგალითად: *She's a dark horse in the competition, but she surprised everyone with her exceptional performance*".
3. Darken someone's doorstep - ეს იდიომი გამოხატავს ვინმესთან უარყოფითი განზრახვით სტუმრობას
4. Dark side of the moon - ეს იდიომატური ფრაზა გამოიყენება რამის დამალული და უცნობი ასპექტების აღსანიშნად
5. Cast a dark shadow - ვინმეზე ან რამეზე უარყოფითი გავლენის ან დამაბრკოლებელი ეფექტის ქონა
6. A shot in the dark - ეს იდიომი გამოიყენება, როდესაც ვინმე უბრალოდ გამოთქვამს ვარაუდს, რადგან მას არ გააჩნია არავითარი ინფორმაცია კითხვაზე ზუსტი პასუხის გასაცემად.
7. A leap in the dark - ეს იდიომი აღნიშნავს ისეთ ქმედებას, რომლის შესრულების შედეგადაც, მოქმედ პირს არ აქვს განსაზღვრული თუ რით დასრულდება იგი, ანუ მას არავითარი კონტროლი არ გააჩნია საკუთარი ქმედების შედეგებზე.
8. Go dark - აღნიშნავს მდგომარეობის ისეთ ცვლილებას, რომელსაც მოყვება ყოველგვარი ადამიანური აქტივობის დროებითი, მაგრამ ხანგრძლივი შეწყვეტა. მაგალითად: *"Broadway theater is going dark due to the spread of Corona virus"*.

გარდა ამისა, კვლევის პროცესში გამოვლინდა შემდეგი კოლოკაციები

- **dark money** – ფული იმ ხალხის ან ორგანიზაციისგან, რომლებიც შეიძლება ჩართული იყვნენ არალეგალურ საქმეში: *They have poured at least \$50m of dark money into the area.* (Related: ["Money Vocabulary"](#))
- **dark tourism** – ტრაგედიისა და უბედური შემთხვევების სცენის სანახავად მოგზაურობა: *Chernobyl is one of the most popular examples of the phenomenon known as dark tourism.*
- **dark tourist** – პიროვნება, რომელიც მოგზაურობს მხოლოდ და მხოლოდ ტრაგედიისა და უბედური შემთხვევების ადგილების მოსანახულებლად: *The site attracts hundreds of dark tourists.*

- **dark side** – ადამიანის, ობიექტის ან აქტივობის უარყოფითი, საზიანო ან ამოუცნობი მხარე: *He plays a police chief who gets results despite his dark side and personal faults.*
- **Pitch dark** – უკიდურესი, უკუნი სიბნელე.

ზემოთ მოყვანილი იდიომები ნათლად წარმოაჩენს სიტყვის სემანტიკურ გენერალიზაციას (პროცესს, რომლის შედეგადაც სიტყვის მნიშვნელობათა რაოდენობა გავრცელდა ერთი კონკრეტულიდან მრავალ სხვადასხვა სფეროში) და ამ პროცესის მასშტაბს. აღნიშნული სიტყვის საწყისი მნიშვნელობიდან განვითარდა არაერთი ვარიანტი რომელთაგანაც თითოეული განსხვავებულ კონტექსტს ერგება, როგორც ეს საკვლევი იდიომებიდან ჩანს. სიტყვა **dark**-ს თანამედროვე ლიტერატურაშიც არაერთი მხატვრული და მეტაფორული გამოყენება მოეძებნება, რომელთაგან თითოეულს სხვადასხვა სტილისტური სალიტერატურო ხერხი მოიცავს მაგალითად:

მეტაფორა: *...It was the epoch of incredulity, it was the season of light, it was the season of darkness...*

Charles Dickens, A tale of Two Cities

გაპიროვნება: *darkness enveloped the room with a menacing presence;*

იგი ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნას ლიტერატურულ ნაწარმოებებში გარემოს აღსაწერად და შინაარსის შესაბამისი გარემოს შექმნის მიზნით მაგალითად:

No light, but rather darkness visible "Paradise Lost"- (Milton)

თანამედროვე ინგლისურში ამ სიტყვის ფორმირება და ამოცნობა შეიძლება იმით, თუ მეტყველების რა ნაწილის მნიშვნელობა ან ფუნქცია გააჩნია მას რომელიმე კონკრეტული წინადადებისა და კონტექსტის ფარგლებში. უმეტესად იგი გვხვდება როგორც ზედსართავი სახელი, მაგრამ ასევე შეიძლება შეგვხვდეს მისი ზმნური, გაარსებითებული ან ზმნიზებული ფორმები, როგორცაა *darken, darkness, darkly*.

ქართულ ენაშიც, არაერთი გამონათქვამი, ანდაზა თუ იდიომა არსებობს, რომლის ძირითადი აზრი დაფუძნებულია სიტყვა **"dark"**-ის ქართულ შესატყვისზე. თითოეულ იდიომაში გაერთიანებულ სიტყვას „ბნელი“ კონტექსტის მიხედვით შესაძლოა განსხვავებული მნიშვნელობა გააჩნდეს, იქნება ეს პირდაპირი თუ მეტაფორული. ეს ყველაფერი მეტყველებს აღნიშნული სიტყვის მრავალმხრივობასა და მრავალმნიშვნელოვნებაზე

- **ვისაც ბნელი არ უნახავს, ფასს ვერ დასდებს სინათლესა.**

ზემოთ მოყვანილ ანდაზაში საკვლევი სიტყვა გამოყენებულია მეტაფორული გაგებით, სადაც მას გააჩნია უარყოფითი კონოტაცია და მოდის კონტრასტში სიტყვასთან „სინათლე“ რომელიც ასევე მოხსენიებულია არაპირდაპირი გაგებით

- **ქურდს რა უნდა და ბნელი ღამეო.**

ამ ანდაზაში საკვლევი სიტყვა მოხსენიებულია პირდაპირი მნიშვნელობით და ამ შემთხვევაშიც მას ახლავს უარყოფითი კონოტაცია

ბნელი ძალა. – ხატოვ. ბოროტების მიმდევარი, სიავის მოქმედი, ავკაცობის მთესველი.

საკვლევი სიტყვა ასევე გვხვდება საგანმანათლებლო კონტექსტშიც სადაც იგი სანყისი განათლების არ ქონას აღნიშნავს.

გარდა ამისა, მოცემული სიტყვა გამოიყენება მეტაფორულად რელიგიურ ტექსტებში, სადაც მისი სინონიმებია „წყვდიადი“ „უკუნეთი“. ამ შემთხვევაში, მას აქვს ღმერთის განრისხების, არასწორად ცხოვრების მნიშვნელობა.

დასკვნა

კვლევის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ განსახილველი სიტყვის დადასტურებული გამოყენება ადრეული შუა საუკუნეებიდან იწყება. ინგლისური ენის განვითარებასთან ერთად სიტყვამ “dark” ასევე განიცადა არაერთი ცვლილება და ჩამოყალიბდა თანამედროვე ენობრივ ერთეულად. სხვადასხვა გამომწვევი მიზეზებისა და ფაქტორების გავლენით განსახილველმა სიტყვამ დროთა განმავლობაში ასევე შეიძინა მრავალი დამატებითი მნიშვნელობა, რომელთაგანაც თითოეული ადამიანური აქტივობის სხვადასხვა სფეროში გვხვდება. როგორც კვლევამ აჩვენა სიტყვის მოხმარება ლიტერატურაშიც უძველესი დროიდან იწყება და იგი თანამედროვეობაშიც აქტიურად გამოიყენება სალიტერატურო ნაშრომების შექმნისას, ამა თუ იმ ლიტერატურული ხერხით ნაწარმოების გასამდიდრებლად, იქნება ეს მეტაფორა, ეპითეტი, გაპიროვნება თუ სხვა. მას ასევე გააჩნია ვრცელი იდიომატური გამოყენება როგორც ინგლისურ, ასევე ქართულ ენაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

ლექსიკონები

1. დიდი ინგლისურ ქართული ლექსიკონი

<https://dictionary.ge/ka/search/?q=dark> 08/04/2024

2. ქართული ენის იდიომებისა და ანდაზების ფონდების ბაზა

<https://idioms.tsu.ge/?s=%E1%83%91%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98> 08/04/2024

3. Merriam-Webster Online Dictionary – <https://www.merriam-webster.com/dictionary/dark> 08/04/2024
4. Perseus Digital Library
<https://www.perseus.tufts.edu/hopper/text?doc=Perseus%3Atext%3A2003.01.0001%3Acard%3D1740>
5. Oxford English Dictionary, *Paris Psalter* (1932) cxlii. 4))

ლიტერატურა

6. *Beowulf* (2008) <https://archive.org/details/beowulftranslati0000unse> (ნანახია 2024 წლის 1 მაისს)
7. Chaucer, G. (1868), *translation of Boethius, De Consolatione Philosophiae* (British Library Add. MS. 10340) iii. pr. ii. l. 1818
8. Dickens, Ch., *A tale of Two Cities* <https://gutenberg.org/files/98/98-h/98-h.htm> (ნანახია 2024 წლის 1 მაისს)
9. Milton, J (2023) “*Paradise Lost*” Penguin Classics

ავტორის შესახებ:

ლაშა ჩაჩუა - ივანე ჯავახიშვილის სახელობის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი, ვსწავლობს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, ინგლისური ფილოლოგიის მიმართულებით.

About the author:

Lasha Chachua – A final year undergraduate student at Ivane Javakhishvili Tbilisi State University, studying at the BA program of English Philology, the faculty of Humanities. Email:lashachachua1010@gmail.com

სამადლობელი:

სტატიაზე მუშაობისას განეული დახმარებისა და ხელმძღვანელობისთვის მადლობას ვუხდით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს, ქალბატონ ირინა დემეტრაძეს.

Acknowledgments:

Special thank you to the Associate Professor at Tbilisi State University Ms. Irina Demetradze for the help and guidance provided, while working on the article.